ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2020 წლის 28 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ა. ხუნჯუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანების შესაბამისად, წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“, რომლითაც დგინდება ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი 2020 წლისათვის. შესაბამისად, დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ითვლება ,,ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N3 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - განაცხადა, რომ ამდენი საჯარო მოხელის ხელშეკრულებით გადაყვანით ხომ დაირღვეოდა 10%-იანი ზღვარი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ კანონით დასაშვები იყო საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით 10%-იან ზღვარს გადაცდენაც, გამომდინარე აქედან საჯარო სამსახურის ბიუროში გაგზავნილ იქნა შესაბამისი წერილი, საიდანაც მიღებულ იქნა თანხმობა, რის შემდგომა გამოიცა მერის შესაბამისი ბრძანება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, 2020 წლის 25 თებერვლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზე

საჭირო ხდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში ცვლილების განხორციელება. კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირები განისაზღვრნენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად. სხვა ცვლილებებთან ერთად, კონკურსების ტიპებს დაემატა შიდა კონკურსი. მერიის დებულებაში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ფიქსირდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად, კონკურსების ტიპებს ემატება შიდა კონკურსი და დებულების იმ მუხლებსა და პუნქტებში სადაც ფიქსირდება ტერმინი „საჯარო მოსამსახურე", ტერმინოლოგია დეტალიზდება იმის მიხედვით, კონკრეტული ჩანაწერი შეეხება თუ არა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, ვინაიდან დებულებაში დღემდე არსებული ტერმინი „საჯარო მოსამსახურე" შეეხებოდა მხოლოდ საჯარო მოხელეს და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გქამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2020 წლის 25 თებერვლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის საფუძველზე საჭირო ხდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილების განხორციელება მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებით 55 საშტატო ერთეული გარდაიქმნება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის პოზიციად, რომლის უზრუნველყოფის მიზნით, ვინაიდან მათი ოდენობა აღემატებოდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%-ს, წერილი სათანადო რეკომენდაციისთვის წინასწარ გაიგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროში. მიღებული პასუხის საფუძველზე კი გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით

გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსულია 2019 წლის 24 დეკემბრის N06/4583 წერილი, რომლითაც წარმოდგენილია ინიციატივა ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი მეორე გურიფული) თბილისის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ. საკრებულოში შემოსულია ასევე გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის (სოფელი მეორე გურიფული) მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება თბილისის ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და სახელმწიფო მოღვაწის, აწ გარდაცვლილი ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ტარიელ გელანტია დაიბადა სოფელ გურიფულში, აქვე დაამთავრა სკოლა. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1978-1990 წწ. ის ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი; 1983-1990 წწ. შეთავსებით ჟურნალ „ეკონომისტის" განყოფილების გამგე; 1991-1992 წწ. - საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, მაჟორიტარი ხობის საარჩევნო ოლქიდან, პრეზიდიუმის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9

აპრილი), იყო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელდება დასაშვებია პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, ტარიელ გელანტიას გარდაცვალებიდან ეს ვადა არ არის გასული და ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფარსტრუქტურის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც განაცხადა, რომ საკრებულოს მხრიდან არის მზაობა აღნიშნულ ქუჩას მიენიჭოს ტარიელ გელანტიას სახელი. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ შესაბამისი წერილი გაიგზავნება, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიაში, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 30 დეკემბერს N14 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაგეგმილი იყო 8514.6 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 16837.0 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 17508.4 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 103,9 %-ით. აქედან, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 7750,0 ათასი ლარიდან შემოსულია 8155,3 ათასი ლარი (105%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 8213,2 ათასი ლარიდან მიღებულია 8064,3 ათასი ლარი (98,2%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 783,8 ათასი ლარიდან შემოსულია 1080,9 ათასი ლარი (137,8%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 90,0 ათასი ლარიდან შემოსულია 207,9 ლარი (231%). საგასავლო ნაწილში 2019 წლის გეგმა იყო 19702,2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება კი 17773,1 ათასი ლარი (90,2%). აქედან, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული 3115,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 2841,2 ათასი ლარი (91,2%); თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა, წლიური გეგმიური 136,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 129.8 ათასი ლარი (95.4%); ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 11639.1 ათასი ლარიდან ათვისებულია 10226.7 ათასი ლარი (87.8%); საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 2838.4 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბრის თვეში ათვისებულია 2700,4 ათასი ლარი (95,1%); კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 1303,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 1238,8 ათასი ლარი (95%); მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2019 წლის გეგმიური 669,6 ათასი ლარიდან იანვარ-დეკემბრის თვეში ათვისებულია 636,1 ათასი ლარი (95%) ფულადი სახსრების ნაშთმა 2020 წლის პირველი

იანვრის მდგომარეობით შეადგინა 2647,3 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერია განმარტავს, რომ ქ. ხობში, ჭყონდიდელის ქ. N19-ში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა 2012 წელს, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის N53 განკარგულების საფუძველზე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა კორპუსში მცხოვრებ

მოქალაქეებს. აღნიშნულ პერიოდში კორპუსში მცხოვრები ერთე-ერთ მოქალაქეზე აზა სახეიშვილი (პ/ნ 58001000550), გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა ბინის დაკანონება, ამ ეტაპზე მან განცხადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას ბინის დაკანონების თაობაზე და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა, მ. ქარდავა, ა. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

7. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერმა შეხვედრებისას ყველა სოფელში მოსახლეობას მიმართა, თუ ვინმე იყო კომპეტენტური სამუშაოების შესრულებაში, წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შემდგომ გაუფორმებდნენ ხელშეკრულებებს.

ვ. **გაბედავა** - მერის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა მიმართა საკრებულოს ყველა წევრს, რათა თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია, თუ ვინმეს აქვს მოწონებული პროექტების განხორციელების გამოცდილება და კომპეტენცია, შემოიტანონ განცხადებები, რომლებსაც დაურიგდებათ შესასრულებელი პროექტების ნუსხა და რომელიც უკეთეს ხარჯთააღრიცხვას წარმოადგენს და შესაბამისი გამოცდილებაც ექნება მათთან გაფორმდება ხელშეკრულება.

სხდომის თამჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზე გამოითქვა სამართლიანი პრეტენზია იმის შესახებ, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სოციალური კომისია გადის მოსახლეობასთან, სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების უზრუნველსაყოფად, მასში საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე და იმ ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული და სთხოვა მუნიციპალიტტის მერიას მომავალში იქნეს ეს მოთხოვნა გათვალისწინებული.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ თვითონ და საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე (ტ. ალექსანდრია) არიან მერიის აღნიშნული კომისიის წევრები და ოქმზეც აწერენ ხელს, გამომდინარე აქედან უფლება აქვთ მოითხოვონ ყველა სოციალური პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ნ. ვეკუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა, მ.ქარდავა, ა. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, კომპანია "გლობალ რისაიქლინგ კო"-ს მიერ ხობის მუნიციპალიტეტში მეორადი პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნის თაობაზე. მისი განცხადებით, წარმოების პროცესში პოლიმერული გრანულები შეიქმნება, რომლის რეალიზება , როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზრებზე მოხდება. პროექტის განსახორციელებლად კომპანიამ ხობის მუნიციპალიტეტში, აუქციონის წესით, პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს" ფარგლებში მიწის ნაკვეთი შეიძინა. პროექტის ჯამური საინვესტიციო

მოცულობა 30 მლნ ლარზე მეტია. საწარმოში 500-მდე ადამიანი დასაქმდება. კომპანია ასევე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებასა და პოლიმერების გადამუშავებითა და წარმოებით დაკავებული უცხოური კომპანიების მოზიდვას გეგმავს. შედეგად, ადგილზე შეიქმნება ღირებულებათა სრული ჯაჭვი და ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოება ამოქმედდება. „აღსანიშნავია, რომ პროექტის „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს" ფარგლებში გასხვისდა 48 774 200 ლარის ღირებულების 45 ობიექტი. აღნიშნული პროექტი 2019 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა. პროექტის თანახმად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ყველა დაინტერესებულ პირს გამარტივებულ პროცედურას სთავაზობს, რომელიც უკვე გამზადებულ საინვესტიციო პაკეტებს გულისხმობს, მათ შორის უძრავი ქონების განვითარების შესაძლებლობას გენერალური განაშენიანების გეგმის გათვალისწინებით. ასევე წინასწარ არის მოგვარებული ყველა იურიდიული საკითხი, როგორიცაა შეფასება, ქონების რეგისტრაცია, საზღვრების დაზუსტება და სხვა. აუქციონებზე გასაყიდი ქონების საერთო საწყისი ღირებულება 150 მილიონი ლარია. პროექტის განხორციელების შედეგად 2500 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მოსალოდნელი ინვესტიციის მოცულობა კი დაახლოებით 200 მლნ ლარი იქნება, რაც მუნიციპალიტეტისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის წარმატებული იქნება" - განაცხადა ე. ჯობავამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. ბექა მამაცაშვილი
12. კოსტანტინე ნასარაია
13. დავით ცინაძე
14. რამინი ხილაძე
15. გოჩა სიჭინავა
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. შადიმან ჭილაია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. იგორი გოგოლაძე
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია